



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
18 ივნისი, 2018

ეკონომიკა


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2018 წლის პირველ კვარტალში 32.9%-ით შემცირდა და 279 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. შემცირების ძირითადი მიზეზებია საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში (მაგ. სილქნეტის მიერ ჯეოსელის შეძენა), ასევე ინვესტორის მიმართ სასესხო დავალიანების დაფარვა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო (110.6 მლნ აშშ დოლარი, +41.6% წ/წ), სამშენებლო სექტორი (69.1 მლნ აშშ დოლარი, +26.9% წ/წ), ტრანსპორტი (56.1 მლნ აშშ დოლარი, -55.0% წ/წ) და დამამუშავებელი მრეწველობა (40.2 მლნ აშშ დოლარი, 6.3-ჯერ მეტი წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: გაერთიანებული სამეფო (82.7 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (51.0 მლნ აშშ დოლარი) და ჩინეთი (41.6 მლნ აშშ დოლარი).

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 50.2%-ით გაიზარდა და რეკორდული 323.3 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, ხოლო იმპორტი 25.1%-ით გაიზარდა და 802.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 12.4%-ით გაიზარდა და 479.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად, 2018 წლის პირველ ხუთ თვეში, ექსპორტი 28.0%-ით გაიზარდა და 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი 23.3%-ით გაიზარდა და 3.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 20.9%-ით გაიზარდა და 2.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა 2018 წლის 19 ივნისს გამოქვეყნდება.


ფულადი გზავნილები: 2018 წლის მაისში ფულადი გზავნილების მოცულობამ 130.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 13.0%-ით აღემატება 2017 წლის მაისის მაჩვენებელს. ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა უმეტესი ძირითადი დონორი ქვეყნებიდან: იტალია (+33.9%), აშშ (+15.7%), საბერძნეთი (+13.6%) და ისრაელი (+34.5%). ამასთან, კლება დაფიქსირდა რუსეთიდან (-1.7%) და თურქეთიდან (-3.2%). 2018 წლის პირველ ხუთ თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 19.2%-ით გაიზარდა და 609.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკა: მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2018 წლის 13 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად 7.25%-ის დონეზე დატოვების შესახებ. 2018 წლის მაისში წლიურმა ინფლაციამ 2.5% შეადგინა, თუმცა საერთაშორისო ბაზრებზე არსებული რყევების გამო, სემ-მა თავის გადაწყვეტილებაში გაითვალისწინა ინფლაციური ზეწოლის რისკის გადმოცემა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან. ამასთან, სემ-მა მიიღო გადაწყვეტილება ლარში მოზიდულ დეპოზიტებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ნორმის 7.0%-დან 5.0%-მდე შემცირების თაობაზე. კომიტეტის შემდგომი სხდომა 2018 წლის 25 ივლისს გაიმართება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
სექტორების მიხედვით, 1Q18



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ქვეყნების მიხედვით, 1Q18



წყარო: საქსტატი


ეკონომიკური ინდიკატორები

	5M18	2017	2016
მშპ (%-ლი ცვლილება)	5.5% ⁽¹⁾	5.0%	2.8%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	10,644	10,043
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	4,079	3,865
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	2.5%	6.7%	1.8%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.0	2.8
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	8.7	12.8%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	3.9%	4.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.6%	44.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

1) 2018 წლის პირველი ოთხი თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2017-18

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №9 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №67

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დადებითი მასივი-2017	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადებითი სექტორული-2017	Fitch Ratings BB- პოზიტიური დადებითი მარტი-2018
---	---	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი


რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,130.0 მლნ ლარის (458.9 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.1 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 7.29% შეადგინა (უცვლელი წინა განთავსებასთან შედარებით).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის 13 ივნისს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (16.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.451% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2018 წლის 27 ივნისს, სადაც 5-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენძმარკ ბონდები გაიყიდება.


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლის 13 ივნისს 182-დღიანი 20 მლნ ლარის (8.1 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.329% შეადგინა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას.




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 6.0%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 100.0 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ევრობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.5 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციები GEOCAP 03/24-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.8 (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 7.3%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.0 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 6.4%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 105.4 ფასად (+0.2% წინა კვირასთან შედარებით), 6.2%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 106.4 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 4.4%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	Local bonds				Eurobonds					
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 06/19	GLC 08/20	GEOCAP 03/24	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	GEBGG 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	10.0	10.0	300	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	08/17	8/17	03-18	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	06/19	8/20	03-24	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.50**	7.5	9.0	7.00	6.125%	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/B2	-/-	-/-	n/a	-B+/B2	BB-/B2	BB-/B2	BB-/B2	BB-/B2	B+/B2
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	102.5	101.3	102.05	94.8	100.5	101.0	100.0	106.4	105.4
საშუალო პროცენტი %	n/a	5.5%	3.8%	6.00%	7.2	10.7	6.4	6.0	4.4	6.2
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	430.2	346.1	346.9	307.5	155.2	329.2

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სებ-ის რეფინანსირების განაკვეთის დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/Ba2	106.4	4.4	155.2
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/Ba2	98.6	5.0	208.9
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB+/Baa2	115.3	0.0	-30.9
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/Ba2	110.7	1.1	97.8
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	106.9	3.7	83.9
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	108.9	4.1	117.2
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BBB-/Ba1	102.1	3.8	102.3
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB-/Ba2	99.3	5.9	303.4

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 19.28 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.14% წინა კვირასთან შედარებით და -14.08% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 702 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 18.17 – 23.49 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 115 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან დაიკლო 0.50%-ით, ხოლო წინა თვესთან მოიმატა 1.29%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.43% შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 12.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +9.9% წინა კვირასთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 4,673 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 9.23 – 12.50 დიაპაზონში. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 11.88% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 17.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+0.82% წინა კვირასთან შედარებით და -1.72% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 134 ათასს გადააჭარბა, GBP 15.76 – 17.24 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 33 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 2.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-3.57% წინა კვირასთან შედარებით და +2.27% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 192 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 2.70 – 3.02 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.15% შეადგინა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
BGEO	19.284*	1,260	-14.1%	-18.1%	-18.3%	-19.9%	-19.1%	
TBC	17.18*	1,237	-1.7%	-4.6%	4.6%	-1.8%	0.0%	
Halyk Bank	HSBK	11.85	3,257	-7.8%	-17.4%	22.5%	19.9%	44.2%
KKB	KKB	0.68	712	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	4.6%
VTB Bank	VTBR	1.41	9,163	-20.4%	-31.2%	-19.8%	-22.7%	-33.9%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	6.39	152	20.4%	-20.1%	-35.0%	-26.5%	-50.2%
Sberbank	SBER	13.65	73,665	-9.4%	-25.0%	-18.4%	-19.4%	35.6%

წყარო: ბლუმბერგი


*BGEO და TBC აქციების ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები								
კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.	
GHG*	GHG	2.7*	472	2.3%	-12.9%	-22.9%	-23.9%	-27.0%
Mouwasat	MOUWASAT	24.99	2,499	-0.4%	7.1%	22.5%	23.8%	26.8%
Fortis	FORH	2.03	1,055	-9.6%	-17.5%	-4.0%	-19.1%	-33.5%
Raffles	RFMD	0.77	1,360	-6.2%	-14.6%	-4.1%	-8.4%	-21.9%
IHH	IHH	1.53	12,615	0.9%	-1.2%	7.4%	6.1%	8.9%
Bangkok Chain	BCH	0.50	1,245	-3.5%	-5.1%	3.4%	0.4%	23.8%
Netcare	NTC	2.21	N/A	-8.5%	7.4%	29.2%	8.9%	14.3%

წყარო: ბლუმბერგი


*GHG აქციის ფასი მოცემულია ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაში ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge